

**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (№217754)
საველე-გეოლოგიური სამუშაოები**

ა.წ. 10-11 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ინიციატივით, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ყაზბეგი-ომალოს რეგიონის ფიქლის გზის პერსპექტიული ლოკალური უბნების დეტალური შესწავლა“ (პროექტის ხელმძღვანელი, აკადემიური დოქტორი, ოლღა სესკურია) საგრანტო დაფინანსების ფარგლებში, საველე-გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად მდ. ხევსურეთის არაგვის მარჯვენა შენაკადის, რომკას, სათავეებში გაემგზავრა 9 კაციანი სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიცია ორი პედაგოგისა და ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 7 სტუდენტის შემადგენლობით.

ექსპედიციის მთავარი მიზანი იყო ყაზბეგ-ომალოს რეგიონის ქვედა და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ნალექების ნიმუშების აღებაშემდგომი ლაბორატორიული კვლევებისათვის. მარშრუტები ჩატარდაცენტრალური საავტომობილო ბარისახო-მატილის გზის შესართავიდან სოფ. რომკას გზის გასწვრივ და მდ. რომკას სათავეებში არხოტის წყლის გადასასვლელამდე.

მარშრუტებზე განხორციელდა მახასიათებელი ნიმუშების აღება, დაფიქსირდა დაკვირვების წერტილების GPS კოორდინატები, განისაზღვრა წოლის ელემენტები და განხორციელდა გამიშვლებების ფოტოგრაფირება.

მარშრუტებზე ექსპედიციის ხელმძღვანელებისტუდენტებს აცნობდნენ რეგიონის ტექტონიკურ პირობებსა და გეოლოგიურ აგებულებას.

თბილისიდან სოფ. რომკამდეექსპედიციამ გაიარა საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სამივე სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეული: თბილისიდან მცხეთამდე - მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა; მცხეთიდან ჟინვალამდე - ამიერკავკასიის მთათაშუა არე და ჟინვალიდან ბოლომდე, საქართველოს საზღვრამდე - კავკასიონის ნაოჭა სისტემა. სწორედ კავკასიონის ნაოჭა სისტემის ნალექებში განხორციელდა ჩვენი საველე- გეოლოგიური სამუშაოები.

გეოლოგიური მარშრუტი დავიწყეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის III კორპუსის ეზოდან. თბილისი და მისი შემოგარენი აგებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის პალეოგენური, ნაწილობრივ ნეოგენური დანალექი და ვულკანოგენური ქანებით.

მცხეთაში, მდ. არაგვის შესართავთან დასავლეთით, მდ. მტკვრის ხეობაში, გადის ორი დიდი გეოტექნიკური ერთეულის, მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემისა და ამიერკავკასიას მთათაშუა არის, შუა სიღრმული რღვევა. საქართველოს სამხედრო გზა მუხრანის ველზე გადის ზედაეოცენურ-ქვედამიოცენ-პლიოცენური ასაკის მოლასურ ნალექებზე. ეს ნალექები დუშეთის წყლების სახელითაა ცნობილი და მეოტურ-პონტურ ასაკს შეესაბამება. ჟინვალიდან მდ. ხევსურეთის არაგვის მარცხენა ნაპირზე შიშვლდება ზედაიურულ-ცარცული ფლიშური ნალექები.

ცარცის კარბონატული ფლიშური ნალექების (კირქვები, მერგელები, ქვიშაქვები, ზოგან კონგლომერატები) გაშიშვლებებზე თვალნათლივ ფიქსირდება ტექტონიკური აშლილობები და ქანების გამოსავლები. ფლიშურ ნალექებს აგრძელებს ქვედა და შუაიურული ასაკის ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის წარმონაქმნები.





თითოეულ დაკვირვების წერტილზე სტუდენტები თვითონ იღებდნენ ნიმუშებს, საზღვრავდნენ GPS -კოორდინატებს და ქანების წოლის ელემენტებს.



მაგისტრანტები და დოქტორანტები საველე სამუშაოებისას აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგებს გამოიყენებენ სტუდენტური კონფერენციებზე მოსახსენებლად და სამეცნიერო ნაშრომების შესასრულებლად.





ზოგიერთ დაკვირვების წერტილთან მისვლა ავტომანქანის ტალახში ჩავარდნით სრულდებოდა.



საინტერესო და მნიშვნელოვანია მდ. რომკას ხეობის ბუნება, განსაკუთრებით კი, რომკას ლოდები, რომლებსაც ბუნებრივი ძეგლის სტატუსი აქვთ მინიჭებული. ისინი მიეკუთვნება მსოფლიოში უდიდესი ლოდების რიცხვს და სოფელი რომკა სწორედ ლოდებზე არის გაშენებული.



როშვიდან ჩანს ჭიუხების თოვლიანი კალთები.



პრაქტიკამ კიდევ უფრო ახლოს გააცნო და დაახლოვა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები. მათ კიდევ ერთხელ ნახეს და შეისწავლეს გეოლოგიური საველე სამუშაოების უნარები. სტუდენტები იმედოვნებენ, რომ ამ გზით მიღებული პრაქტიკული ცოდნა დაეხმარებათ პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში.

